თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №2

თბილისი, 27 ივლისი, 2016

სხდომა დაიწყო 18.00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბესიკ ლოლაძე;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე ბესიკ დევდარიანი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ეკა სეფაშვილი;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური – ადმინისტრაციის იურიდიული სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;
- მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამართლებრივი ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

– ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
– მარიამ სხილაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
– თამთა ფეტვიაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

– ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანია;
– ცენტრალური საარჩევნო კომისია – გიორგი კალანდარიშვილი;
– საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელი დიმიტრი ჩქარეული;
– საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი გიორგი ტაბატაძე;
– შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი ნინო მინდიაშვილი.

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

– „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – თინათინ ბოკუჩავა;
– „ზვიადის გზა – უფლის სახელით“ – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;
– „ეროვნული ერთიანობის პარტია“ – თამარ ღვინაძე;
– „ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები“ – თამარ კეკენაძე;
– „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“ – პაატა კაკულია;
– „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“ – გიორგი გორაძე;
– „მემარცხენე ალიანსი“ – პაატა ჯიბლაძე;
– „ქართული ოცნება“ – ნინო გოგუაძე;
– „დავით თევზაძე – საქართველოს მშვიდობისათვის“ – შალვა კუპატაძე.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – ლაშა შაყულაშვილი;
– ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო – ხათუნა ჭითანავა;
– ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში – ირაკლი ქობალია;
– USAID – ხათუნა კუნჭულია.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ნინო რიჟამაძე;
- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – გიგი ჩიხლაძე;
- „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – ირმა პავლიაშვილი;
- „მრავალეროვანი საქართველო“ – ირმა ბასილაშვილი;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ – ედუარდ მარიკაშვილი;
- „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე;
- „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:00 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1) 2016 წლის 13 ივლისის სხდომაზე **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** მიერ წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ცესკო-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მოსმენა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – თავმჯდომარე რამინა (რიმა) ბერაძისა და შპს „ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავლის“ ხელმძღვანელ ქეთევან ბარათელის ორგანიზებით ქ. თბილისის საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის ჩატარებული უფასო სამედიცინო გამოკვლევების შესახებ;

   იმავე პარტიის მიერ წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით, მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მხრიდან ინფორმაციის მოსმენა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელ ედიშერ თოლორაიას მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის საფეხბურთო გუნდ „ჩელასთვის“ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით სპორტული საზაფხულო ტანსაცმლის, ბურთებისა და სხვა საჭირო ინვენტარის გადაცემის შესახებ;

2) ცესკო-ს მხრიდან ინფორმაციის მოსმენა **ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“** განცხადებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მოადგილე გიორგი ჭიღვარია სოციალური ქსელის (Facebook) მეშვეობით 2016 წლის 1, 4 და 5 ივლისს, სამუშაო საათებში, სავარაუდოდ, ეწეოდა წინასაარჩევნო აგიტაციას;

3) საარჩევნო გაერთიანების – **„ზვიადის გზა – უფლის სახელით“** – მიერ წარმოდგენილი ინიციატივების (რეკომენდაციების პროექტები) განხილვა პლაკატების გაკვრის ადგილებისა და სააგიტაციო მასალების განთავსების ხელშეშლის (ჯარიმის თანხის განაწილება) საკითხთან დაკავშირებულ რეგულაციებზე;

4) **„მედიის განვითარების ფონდის“** განცხადების განხილვა ფინანსთა სამინისტროს მიერ ტელევიზიით გავრცელებულ ვიდეორგოლებთან დაკავშირებით;

5) **„ანალიტიკური საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტის“** განცხადების განხილვა, რომლის თანახმადაც, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აქციის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ჩაუტარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევები და ოპერაციები და ამავე აქციის ფარგლებში „ჰუმანითი ჯორჯიასგან“ უსასყიდლოდ გადაეცა მედიკამენტები. განცხადებით მოთხოვნილია საკითხის შესწავლა ამომრჩევლის მოსყიდვის კუთხით;

6) სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და, პირველ რიგში, მიმართა ცესკო-ს თავმჯდომარეს, ქალბატონ თამარ ჟვანიას, ქალბატონი რამინა (რიმა) ბერაძის საკითხთან დაკავშირებით. ცესკო-ს თავმჯდომარის განცხადებით, ამ თემაზე ჩატარებული ზეპირი მოსმენის შედეგად დარღვევები არ გამოვლინდა, შესაბამისად, შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოება და საკითხი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. რაც შეეხება მოსყიდვას ფაქტზე გაკეთებულ განცხადებას, საკითხს სწავლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. კომისიის სამდივნოს ინფორმაციით, აუდიტის სამსახურში ამ თემაზე კვლავ მიმდინარეობს საქმისწარმოება.

ამავე საკითხს გამოეხმაურა „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრის" წარმომადგენელი, ბატონი ვლადიმერ ბოჟაძე და აღნიშნა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, საქმიდან გამომდინარე, არ იკვეთება ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტი, მაგრამ აუდიტის სამსახური აპირებს, მიმართოს სასამართლოს როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის, ისე ქალბატონი რამინა (რიმა) ბერაძის დაჯარიმების მოთხოვნით სავარაუდო უკანონო შემოწირულობასთან მიმართებით.

სხდომის თავმჯდომარე შეეხო წინა სხდომაზე წამოჭრილ საკითხს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრის, ქალბატონი ელენე ხოშტარიას, მიმართ უცხო პირის მიერ სავარაუდო ზეწოლასთან დაკავშირებით. კერძოდ, თავმჯდომარემ კითხვით მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელს, ვინაიდან სისტემატური ხასიათი აქვს ამ ფაქტს, ხომ არ ჰქონდა ამ ეტაპისთვის უფრო კონკრეტული ინფორმაცია. მიმართვის პასუხად, ქალბატონმა თინათინ ბოკუჩავამ აღნიშნა, რომ გარკვეული გარემოებების გამო ვერ მოხერხდა ხელშემშლელი პირის ფოტოზე ან ვიდეოზე დაფიქსირება. ქალბატონი თინათინის განმარტებით, ზემოაღნიშნულის გარდა, ადგილი ჰქონდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატებისთვის შეხვედრების ჩაშლის სხვა შემთხვევებს.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გიორგი ჭიღვარიას, თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა მთავრობის კანცელარიის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ, მისი ინფორმაციით, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გიორგი ჭიღვარიასთან მიმართებით ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ქუთაისის საოლქო კომისიაში, თუმცა, მისთვის უცნობია, რა შედეგით დასრულდა ცესკო-ში საკითხის განხილვა. გუბერნიის ადმინისტრაციის მიერ გაცემულ პასუხზე დაყრდნობით, ბატონმა ნიკოლოზმა დაამატა, რომ გიორგი ჭიღვარიას მხრიდან ადგილი ჰქონდა „Facebook"-ზე მხოლოდ სტატიების გაზიარებას, რაც არ მოიცავდა აზრის გამოთქმას მისი მხრიდან ან სტატუსების დაწერას.

საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ ამცნო სხდომაზე დამსწრე პირებს, რომ ამ ფაქტის შემდეგ იგი პირადად შეხვდა ყველა გუბერნატორს მათ მოადგილეებთან ერთად თბილისსა თუ რეგიონში, კიდევ ერთხელ აუხსნა, ვის რისი უფლება აქვს წინასაარჩევნო პერიოდში

და იმედი გამოთქვა, რომ ამგვარი ინციდენტები აღარ განმეორდება. საკითხზე კომენტარი გააკეთა ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა და აღნიშნა, რომ, დღეის მდგომარეობით, ცხრავე გუბერნატორის მიერ მიღებულია სამართლებრივი აქტი – განკარგულება, მათი მოხელეების წინასაარჩევნო შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომელიც გამოქვეყნებული და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას.

დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აუცილებელია, პლაკატების გაკვრის საკითხი, თბილისის გარდა, მოწესრიგდეს სხვა მუნიციპალიტეტებშიც. ამისათვის კომისიის სამდივნომ წევრებს შესთავაზა რეკომენდაცია, რომლის შინაარსიც გადმოტანილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის №16-38 დადგენილებიდან. ამის თაობაზე კომისიის წევრებმაც გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები და დათანხმდნენ შეთავაზებულ იდეას. ბატონმა მიხეილ (გელა) სალუაშვილმა განაცხადა, რომ რეკომენდაციები აუცილებელია, გამოყენებულ იქნეს თბილისის გარეთაც და მოწესრიგდეს პლაკატების გაკვრის საკითხი ყველა პოლიტიკური სუბიექტისთვის. კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა მთავრობის კანცელარიის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს, რომელმაც სხდომის დამსწრეებს ამცნო, რომ საკრებულოს განკარგულებები, რომლებიც საკითხს დაარეგულირებს, დღეის მდგომარეობით, თბილისის გარდა, 70-ვე მუნიციპალიტეტში უკვე მიღებულია.

შემდეგ კომისიის თავმჯდომარე შეეხო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ კომისიის სხდომის დღეს წარმოდგენილ ორ განცხადებას და აღნიშნა, რომ კომისიის წევრებს განცხადებების მიღებისთანავე ეცნობათ და ეთხოვათ მათში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით სხდომისთვის პირველადი ინფორმაციის შეძლებისდაგვარად მომზადება. ამის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელს, ქალბატონ თინათინ ბოკუჩავას, რომელმაც უპასუხა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" შეეცდება, კომისიას ერთი დღით ადრე მაინც მიაწოდოს ინფორმაცია.

საკითხები, რომლებზეც თინათინ ბოკუჩავამ ისაუბრა, მოიცავს იმ კატეგორიების შესაძლო დარღვევებს, როგორიცაა: ამომრჩევლის მოსყიდვა, ამომრჩევლებთან შეხვედრებისთვის ხელის შეშლის მცდელობა, წინასაარჩევნო აგიტაციაში არაუფლებამოსილი პირის მონაწილეობა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება. თინათინ ბოკუჩავამ სხდომაზე გაახმოვანა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ კომისიისთვის გამოგზავნილ განცხადებებში მითითებული სავარაუდო დარღვევის ფაქტების მაგალითები, ასევე, ახსენა ბათუმში ლევან ვარშალომიძის და თბილისში სევდია უგრეხელიძის შეხვედრებზე მომხდარი ინციდენტები და დაამატა, რომ, მისი აზრით, სასარგებლო იქნებოდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაცია ამ ტიპის ჩარევებსა და ხელშეშლის ფაქტებთან დაკავშირებით. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა გაიხსენა კორცხელში მომხდარი ინციდენტი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელ ზვიად კუპრავაზე თავდასხმის ფაქტიც.

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა წულუკიანმა, სიტყვა გადასცა კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ბატონ შალვა ხუციშვილს, რომელიც გამოეხმაურა ქალბატონი ელენე ხოშტარიას შემთხვევას და აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რეაგირების გარეშე არ დარჩენილა უწყებათაშორისი კომისიის პირველ სხდომაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელ ოთარ კახიძის მიერ დასმული საკითხი, რადგან ოთარ კახიძემ, ყოველგვარი საფუძვლის წარმოდგენის გარეშე, მითითება გააკეთა ვაკის პოლიციის უფროსზე და თქვა, რომ ის ავალებდა უცნობ პირებს, რომ ასე ემოქმედათ. ბატონი შალვა ხუციშვილის თქმით, ეს მძიმე ბრალდებაა, რომელიც ვერ დარჩებოდა უყურადღებოდ. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები დაუკავშირდნენ ოთარ კახიძეს ამ ფაქტზე მეტი დეტალების მოძიების მიზნით, მაგრამ ოთარ კახიძეს დამატებითი ინფორმაცია დღემდე ვერ წარმოადგინა. დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, ბატონმა შალვა ხუციშვილმა შიდა მოკვლევის ჩატარების მზადყოფნა გამოთქვა და განმარტა, რომ ამ დროისათვის ვაკის პოლიციის უფროსის მხრიდან ზეწოლის ფაქტი არ დასტურდება.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა შალვა ხუციშვილმა, ასევე, აღნიშნა, რომ, მისი აზრით, ამ ეტაპზე ამგვარ ფაქტებთან დაკავშირებით რეკომენდაციის შემუშავების საჭიროება არ დგას, მაშინ, როდესაც არსებობს „112" და მოუწოდა ყველას, მსგავსი შემთხვევების დროს გამოიყენონ „112"-ის ზარი და პირდაპირ შინაგან საქმეთა სამინისტროში დააფიქსირონ დარღვევის ფაქტები, რასაც აუცილებლად მოჰყვება უწყების მხრიდან რეაგირება. ბატონი შალვას განმარტებით, მათი საქმისწარმოების სპეციფიკა მოიცავს რეაგირებას და გამოძიებას: თუ პოლიცია გამოძახების ფაქტზე მიდის და ფაქტს არ აღკვეთს, ამ შემთხვევაში პრობლემაა რეაგირებასთან დაკავშირებით, ხოლო თუ შემდგომ არ მოხდა დარღვევის შესწავლა – ეს წარმოადგენს პრობლემას გამოძიების ნაწილში. ბატონმა შალვამ თხოვნით მიმართა დამსწრეებს, თითოეულ შემთხვევაში დაზუსტდეს, თუ რომელ ნაწილში წააწყდებიან პრობლემას.

ბატონი შალვა გამოეხმაურა ზვიად კუპრავას ცემის ფაქტსაც; აღნიშნა, რომ გამოძიება დაწყებულია ცემის ფაქტზე და განმარტა, რომ, მისი ინფორმაციით, ზვიად კუპრავა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელია და არა პოლიტიკური პარტიის წევრი.

საარჩევნო აგიტაციაში ხელის შეშლასთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა წულუკიანმა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელს რჩევის სახით მიმართა, გამოეყენებინათ თუნდაც მობილური ტელეფონი, რომლის საშუალებითაც დაფიქსირდებოდა საარჩევნო პროცესში კანდიდატებისთვის ხელისშემშლელი პირები და გაადვილებდა ასეთ ფაქტებზე რეაგირებას.

კომისიის თავმჯდომარემ წამოაყენა წინადადება, კომისიის მიერ გამოიცეს რეკომენდაცია, რომლის ანალოგი გასული წლების არჩევნებისთვის იყო შემუშავებული და რომელიც ეხებოდა საარჩევნო აგიტაცია/პროპაგანდაში ხელშეშლის აკრძალვას. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, მართალია, კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი არ შედის კომისიის უფლებამოსილების ფარგლებში, თუმცა, პოლიციასთან დაკავშირებით რეკომენდაციის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ მათი ადეკვატური

რეაგირებისკენ მოწოდების ნაწილში. მან იქვე დასძინა, რომ, გასული წლების არჩევნებთან შედარებით, სანქციები გამკაცრებულია.

დღის წესრიგის მე-4 საკითხი ეხებოდა ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდის" მიერ წარმოდგენილ განცხადებას ფინანსთა სამინისტროს მიერ სატელევიზიო ეთერით გავრცელებულ ვიდეორგოლებთან დაკავშირებით, რომელსაც გამოეხმაურა კომისიის წევრი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ბატონი ცოტნე ყავლაშვილი. მისი განცხადებით, აღნიშნული ვიდეორგოლი ატარებდა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათს და შინაარსი მოიცავდა და განმარტავდა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში" შესულ ცვლილებებს, რომელთა ცოდნაც აუცილებელია გადასახადის გადამხდელთათვის. ბატონმა ცოტნე ყავლაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რგოლი არ წარმოადგენდა სოციალურ რეკლამას, როგორც ეს ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდის" განცხადებაში იყო მითითებული, და აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ შესყიდული იყო საეთერო დრო 1-ლი ივლისიდან 25 ივლისამდე. როგორც კომისიის სამდივნოს წევრმა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, ქალბატონმა მარიამ სხილაძემ დაამატა, ფინანსთა სამინისტროს ვიდეორგოლი სამმა ტელეკომპანიამ განათავსა ეთერში 2 კვირის განმავლობაში და ტენდერი გამოცხადებული იყო 95 000 ლარის ოდენობაზე. ამასთან, დღეის მდგომარეობით, ვიდეორგოლი უკვე ეთერში აღარ გადის.

სამდივნოს მიერ სხდომაზე ეკრანზე გაშვებულ იქნა აღნიშნული ვიდეორგოლიც. კომისიის თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა ფინანსთა მინისტრის მოადგილეს, კომისიას წარუდგინოს შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რათა საჩივრის ავტორ არასამთავრობო ორგანიზაციას გაეგზავნოს მოტივირებული პასუხი.

კომისიის თავმჯდომარე, ასევე, შეეხო დღის წესრიგით განსაზღვრულ მე-5 საკითხს – ა(ა)იპ „ანალიტიკური საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტის" განცხადებას მესტიაში უფასო სამედიცინო გამოკვლევებისა და ოპერაციების ჩატარებასა და ამავე აქციის ფარგლებში „ჰუმანითი ჯორჯიასგან" მედიკამენტების მოსახლეობისთვის უსასყიდლოდ გადაცემასთან დაკავშირებით, რომელზეც დეტალურ ინფორმაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიაწოდებს კომისიის სამდივნოს საკითხის შესწავლისთანავე.

სხდომაზე განხილულ თემებს გამოეხმაურა ვლადიმერ ბოჟაძე („სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი"), რომელიც დაეთანხმა ფინანსთა სამინისტროს და ვიდეორგოლის შინაარსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სახეზე იყო საინფორმაციო ხასიათის კლიპი, რომელიც არ ატარებდა პოლიტიკური რეკლამის ნიშნებს.

ქალბატონი თეა წულუკიანი შეეხო მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას – „თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენელ ალექსი პეტრიაშვილის განცხადებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის მხრიდან პარტიის მაჟორიტარზე სავარაუდო ზეწოლასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ სხდომა „თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენელს უკვე დაეტოვებინა, კომისიის სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს ამ საკითხზე

მხოლოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლის გამოხმაურება. მან აღნიშნა, რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია არ დადასტურდა. მნიშვნელოვანია, რომ პარტიის მიერ არ ხდება ფაქტების და პირების დაკონკრეტება, ხოლო საკითხის სრულად შესწავლისთვის აუცილებელია დამატებითი ინფორმაციის მიწოდება.

სხდომის მიმდინარეობისას კომისიის თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს – ხომ არ სურდა მას ინფორმაციის მიწოდება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მოწვეულ დამკვირვებლებთან დაკავშირებით. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა ხათუნა თოთლაძემ, სხდომის დამსწრეებს გააცნო ინფორმაცია საერთაშორისო დამკვირვებლებთან დაკავშირებით, რომლებსაც მოწვევა დაეგზავნათ თებერვალში და არჩევნების თარიღის დაზუსტების შემდეგაც. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საერთო ჯამში, მოწვეულია 11 საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა დიდი ნაწილის მიერ დასტური მიღებულია; ასევე, 80-მდე სახელმწიფოსთან დაგზავნილია მოწვევები, რომელთა მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას კომისიას მიაწვდის პერიოდულად.

შემდგომ ბატონი გრიგოლ გაგნიძის („ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია") მიერ წამოიჭრა საკითხი ბატონ ლევან ვარშალომიძის მიერ ბათუმში გაკეთებულ დაპირებებთან დაკავშირებით. საკითხთან მიმართებით თავიანთი მოსაზრებები დააფიქსირეს სხდომაზე დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პარტიების წარმომადგენლებმა. ამასთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ მოუწოდა საზოგადოებას, დალოდებოდნენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გადაწყვეტილებას, ამასთან, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკითხი, კომპეტენციიდან გამომდინარე, არ არის ცენტრალური საარჩევნო კომისიის განსახილველი. თემას გამოეხმაურა თამარ ჟვანიაც, რომელმაც დაამატა, რომ სავარაუდო მოსყიდვის ფაქტების მოკვლევის უფლებამოსილება ცესკო-ს არ გააჩნია და ამ თვალსაზრისით უნდა მიემართოს სასამართლოს.

იმავე საკითხზე ცესკო-ს თავმჯდომარე გამოეხმაურა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიისთვის მიმართვის ფაქტს და აღნიშნა, რომ, ვინაიდან ლევან ვარშალომიძე არ წარმოადგენს კანდიდატს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" რეგისტრირებულია ცესკო-სა და უსკო-ში, და არა საოლქო საარჩევნო კომისიაში, ასევე, რადგან ლევან ვარშალომიძე არის გაცხადებული კანდიდატი აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის და არა საერთო საპარლამენტო არჩევნებისთვის, ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია არ არის ის ორგანო, რომელსაც უნდა მიემართოს განცხადებით ამ საკითხზე.

კომისიამ მოისმინა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" წარმომადგენელ ნინო რიჟამაძის მიერ წამოჭრილი რამდენიმე საკითხი წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის შესახებ ამავე ორგანიზაციის ანგარიშიდან სხვადასხვა მუნიციპალიტეტში წინასაარჩევნო პერიოდში სავარაუდო კანონდარღვევებთან დაკავშირებით.

ამ კუთხით კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა საარჩევნო პერიოდში „საქართველოს საარჩევნო კოდექსით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად საჯარო დაწესებულებებში ინსტრუქციების გავრცელების საჭიროებაზე და მოუწოდა

სამინისტროების წარმომადგენლებს, შემუშავდეს ინსტრუქციები ან უკვე შემუშავებული ინსტრუქციები დაეგზავნოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირებს განმეორებით, როგორც ეს იუსტიციის სამინისტროში განხორციელდა. საკრებულოებში სამსახურიდან სავარაუდო დათხოვნებთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ გააკეთა კომენტარი, რომ შეეცდება საკრებულოებამდე ინსტრუქციების მიტანას, თუმცა, დაამატა, რომ, მაგალითად, გორის შემთხვევაში, ადგილობრივი მთავრობის კომპლექტაციიდან გამომდინარე, რთულდება საკრებულოებში გადაწყვეტილების მიღების პროცესები.

სხდომაზე დამსწრე პირთა საყურადღებოდ კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა ცესკო-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია რეგისტრირებულ პარტიებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, იმ მომენტისთვის რეგისტრირებული იყო 22 პარტია, 3 პარტიას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, რეგისტრაციის დასრულებამდე კი რჩებოდა 4 კვირა.

შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა „ეროვნული ერთიანობის პარტიის" წარმომადგენელს, ქალბატონ თამარ ღვინაძეს, რომელმაც კომისიას გააცნო თავისი პარტიის პრობლემა ბანკში პარტიის საფონდო ანგარიშის გახსნასთან დაკავშირებით. ქალბატონმა თეა წულუკიანმა თხოვნით მიმართა კომისიის სამდივნოს, უფლებამოსილების ფარგლებში დააკვალიანონ პარტიის წარმომადგენელი.

კომისიის თავმჯდომარემ, დღის წესრიგით განსაზღვრული ბოლო საკითხის თანახმად, მიმართა სხდომაზე მყოფ პირებს – ხომ არ სურდათ, წარმოედგინათ სხვა დამატებითი ინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით. სიტყვა ითხოვა ბატონმა მიხეილ (გელა) სალუაშვილმა („ზვიადის გზა – უფლის სახელით"). ბატონმა სალუაშვილმა უკმაყოფილება გამოხატა ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიმართ, რომელიც ეხებოდა საარჩევნო გაერთიანებისთვის სასამართლო ბაჟის დაბრუნების ოპერაციას. საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელს, დახმარებოდნენ ბატონ სალუაშვილს პრობლემის მოგვარებაში.

ვლადიმერ ბოჟაძის მიერ დაისვა საკითხი ამომრჩეველთა ერთიანი სიების შესახებ და რეგისტრაციიდან მოხსნილი პირების პრობლემასთან დაკავშირებით. მან მადლობა გადაუხადა იუსტიციის მინისტრს საარჩევნო სიების სრულყოფაში შეტანილი წვლილისთვის; აღნიშნა, რომ პარლამენტის მიერ წელს, სამწუხაროდ, არ მოხდა იმ გამონაკლისის გათვალისწინება, რაც დაშვებული იყო 2012 წლის არჩევნების დროს და კომისიას მიმართა თხოვნით, დარჩენილ დროში საინფორმაციო კამპანიით მიეწოდებინათ ამომრჩევლებისათვის ინფორმაცია, რათა დროულად გაიარონ რეგისტრაცია. საკითხთან დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის სამდივნოს, რომ შემდეგი სხდომისთვის დამსწრეებს წარედგინოთ შემაჯამებელი პრეზენტაცია ამომრჩეველთა ერთიანი სიების შედგენისა და მიმდინარე პროექტების შესახებ და დაამატა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ცვლილების მიღების დროს, სამწუხაროდ, არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ცესკო-ს რეკომენდაციები.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, საინფორმაციო კამპანია აუცილებელია, მათ შორის, ცესკო-ს მხრიდანაც, და კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს გააცნო სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში" მიმდინარე აქციების შესახებ ინფორმაცია:

1. 12 ივლისს დაიწყო და 15 სექტემბერს დასრულდება უფასო ID ბარათების აქცია „დახედე ბარათს" იმ მოქალაქეებისთვის, რომელთა პირადობის მოწმობას 8 ოქტომბრამდე ეწურება მოქმედების ვადა. აღნიშნული აქციით უკვე ისარგებლა 3 300-მა მოქალაქემ;

2. აქცია იმ მოქალაქეებისთვის, რომელთაც არ გააჩნიათ არანაირი საბუთი, რომელიც დაიწყო 2016 წლის თებერვალში. ამ დროისთვის აქციით ისარგებლა 83 800-მა საქართველოს მოქალაქემ;

3. აქცია რეგისტრაციის არმქონე პირებისთვის, რომელიც დაიწყო 2016 წლის თებერვლიდან. აქციის ფარგლებში 5 800-მა პირმა გაასწორა რეგისტრაცია;

4. აქცია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს, უფასოდ გასწორდეს საბუთებში არსებული მექანიკური შეცდომები. აქციით ისარგებლა 2 311-მა მოქალაქემ.

კომისიის თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა დამსწრე პარტიების წარმომადგენლებს, თავიანთ ამომრჩევლებსა და მხარდამჭერებს მიაწოდონ აღნიშნული აქციების შესახებ ინფორმაცია და დაამატა, რომ არჩევნების დღეს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში" იმუშავებს ცხელი ხაზი, სადაც დაეხმარებიან მსგავსი პრობლემის მქონე მოქალაქეებს. ზემოთქმულს გამოეხმაურა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ჟვანია, და აღნიშნა, რომ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით ცესკო-ს მიერ ტარდება საინფორმაციო ბრიფინგები და აქტიურად გადის ვიდეორგოლები ტელეეთერში.

სხდომის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს მობრძანებისთვის და მომდევნო სხდომის თარიღად გამოაცხადა 2016 წლის 10 აგვისტო, ოთხშაბათი, 18:00 საათი.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" – თინათინ ბოკუჩავა;
- „ზვიადის გზა – უფლის სახელით" – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;
- „ეროვნული ერთიანობის პარტია" – თამარ ღვინაძე.

სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი" – დანიელ დავითაშვილი;

– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
– „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ნინო რიჟამაძე;
– „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე.

სხდომაზე გამართული დისკუსიის შეჯამების შედეგად კომისიამ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

რეკომენდაციები

(2016 წლის 27 ივლისის სხდომა)

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას, რეკომენდაციით მიმართავს

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

ა) პოლიტიკურმა პარტიებმა გასცენ მკაფიო მითითება, რომ მათმა აქტივისტებმა თავი შეიკავონ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისაგან კონტრაგიტაციის, შეფასებების გაკეთების თუ სიტყვით გამოსვლის მიზნით, რათა გამოირიცხოს პოლიტიკურ ნიადაგზე თუნდაც სიტყვიერი დაპირისპირება, და კანდიდატებმა შეფერხების გარეშე შეძლონ ამომრჩეველთან კონტაქტი.

ბ) პოლიტიკურმა პარტიებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა გასცენ მკაფიო მითითება იმის შესახებ, რომ მათ აქტივისტებს/წარმომადგენლებს კატეგორიულად ეკრძალებათ კონკურენტი პარტიის სააგიტაციო მასალის დაზიანება ან განთავსებაში ხელის შეშლა.

აუცილებელია, მსგავსი ხასიათის დარღვევების გამოვლენისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა დროულად და ეფექტიანად გაატარონ საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტებს:

იმისათვის, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ყველა კანდიდატი უზრუნველყოფილ იქნეს, თანაბარი პირობებით განათავსონ ბეჭდური სააგიტაციო მასალა, პოლიტიკურმა პარტიებმა თბილისის მასშტაბით იმოქმედონ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის №16-38 დადგენილებით განსაზღვრული წესების შესაბამისად, რომლის თანახმადაც, სააგიტაციო მასალისათვის გათვალისწინებულ სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, გააკრას 1 ცალი საარჩევნო პლაკატი ზომით არაუმეტეს სიგრძე 60 სმ, სიგანე 42 სმ (A2 ფორმატი).

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების მიზნით, რათა ადგილობრივ დონეზე თანაბარი პირობებით შეძლონ პოლიტიკურმა პარტიებმა მათი სააგიტაციო მასალის განთავსება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების დაწესება და მათ შესრულებაზე კონტროლი.

სხდომა დასრულდა 20.15. საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: